

# "დავით გარეჯის საქმეზე პოლიტიკური სპეკულაციები მიუღებელი და დაუშვებელია"



საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას განცხადებით, დავით გარეჯის საკითხის პოლიტიზება აბსოლუტურად მიუღებელია, ამერბაიჯანი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და ასე გაგრძელება ნებისმიერ შემთხვევაში.

*„უნდა გამოვეხმაურო პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებას, რამეთუ არ წყდება მცდელობა საკითხის პოლიტიზების, რაც არის აბსოლუტურად მიუღებელი. ყვერას უნდა გვახსოვდეს, რომ გამოძიება უნდა დასრულდეს და ამის შემდგომ უნდა გავაკეთოთ საბოლოო დასკვნები. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სახის პოლიტიზირება და პოლიტიკური სპეკულაციები ამ საკითხზე უბრალოდ დამაბიანებელია ქვეყნისთვის, ამიტომ არის აბსოლუტურად მიუღებელი და დაუშვებელი.“*

*გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ ვერც გამოძიების დაწყების ფაქტი, რომელიც სრულად საქართველოს საშინაო საქმეა და ვერც გამოძიების შედეგად ახრად გამოვრენიერი გარემოებები, რომლებიც ჩვენ უკვე გავუზიარეთ ჩვენს ამერბაიჯანერ კოლეგებს, ვერ დააბიანებს ჩვენს, ორ ქვეყანას შორის, სტრატეგიულ პარტნიორობას. ეს არის ხაზგასმით აღსანიშნავი. მინდა, მოვუწოდო ყვერას, არ მოვახდინოთ საკითხის პოლიტიზება, ეს არის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.*

დავით გარეჯის საქმეზე საქართველო-ამერბაიჯანის სადერიმიტაციო-სადემარკაციო კომისიის ყოფილი წევრებისთვის, ივერი მეღაშვილისა

და ნატარია იდიჩოვასთვის წინასწარი დაკავების იზოლატორში ბრადის წარდგენის პროცესი მიმდინარეობს.

*„ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, 2007 წლის ჩათვლით პერიოდში, შეთანხმებული საზღვრის რიგი მონაკვეთები არ შეესაბამება 1937-1938 წლებში გამოცემულ 1:200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილ საქართველოს საზღვრის ხაზს. სხვაობა საქართველოს საზიანოდ, შეადგენს 3500-მდე ჰა ფართობს. შესაბამისად, ბრადლებურთა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე შეიქმნა“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.*